

ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი
Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences
Фонд развития гуманитарных и педагогических наук

ISSN 1987-7323

სამეცნიერო ჟურნალი
ენა და კულტურა

№ 16

LANGUAGE AND CULTURE
Scientific Journal

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი

Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences

Фонд развития гуманитарных и педагогических наук

ISSN 1987-7323

სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი

ენა და კულტურა

№16

Language and Culture

Scientific Peer Reviewed Journal

შინაარსი

ლეილა აბზიანიძე „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები (ზოგი სინტაქსური თავისებურება)	12
ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია ფრანგული ენის დიატოპიკური ვარიანტები.....	17
ნინო გორგიშელი, ნუნუ გელდიაშვილი ლინგვოპერსონოლოგიური გაღერვა ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვიათ გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების მიხედვით.....	21
ნინო ზაალიშვილი ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სიმბოლიკა და სემანტიკა საერთო კომპონენტით - „შივილი“ /ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალაზე/.....	26
თამარ თვალაძე ემოციების გამოხატვა არავერბალური კომუნიკაციის საშუალებებით.....	30
ინგა ისიანი თანამედროვე მეტაფოროლოგია და ჯონ დონის პოეტური ტექსტის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	36
კონსტანცე იუნგბლუთი sprechen _ sprach _ gesprochen: გერმანულენოვანი უმცირესობანი ბრაზილიაში და ბერძნულ და ურუმულ ენებზე მოლაპარაკე ბერძნები საქართველოში.....	40
შორენა ლაზვიაშვილი, ქეთევან შაშვიაშვილი ინგლისურენოვანი სარეკლამო განცხადებების ლინგვისტური მახასიათებლები.....	57
ქეთევან მარგიანი-სუბარი „წინდებულ-თანდებულთა“ სინტაქსური ფუნქციები სვანურ ენაში.....	58
მანანა მიქაძე ქართული ანთროპონიმების ადგილისათვის ლევან გოთუას "გმირთა ვარამში".....	63
ცისანა მოდებაძე ზოონიმური სალანძღავი სიტყვები გერმანულ და ქართულ ენებში.....	70
სოფიო მუჯირი ტრანსკულტურული წერის მანერა ვ. კამინერის შემოქმედებაში.....	74
ირმა რუსაძე სტერეოტიპები და მათი ნიშან-თვისებები.....	81
ინგა ხანიკიძე ენობრივი კონფლიქტი როგორც ეთნოკულტურული პრობლემა.....	85

ნათელა ფარტენაძე სარეკლამო ტექსტის ექსპრესიულობის სინტაქსურ-სტილისტიკური თავისებურებანი.....	100
მაია ფურცხვანიძე პერსონაჟთა ემოციის გამოხატვის ზოგიერთი მახასიათებლისთვის ქართული და ინგლისური მხატვრული ტექსტების მიხედვით.....	108
ეკატერინე ქურდაძე, ნინო დემეტრაძე კომუნიკაციური კომპეტენციის კულტურულ-სპეციფიური ასპექტები.....	125
მანანა ღარიბაშვილი, ია რჩულიშვილი მხატვრული შედარების სინტაქსური ასპექტები (ამერიკული მოთხრობების ორიგინალებისა და მათი თარგმანების მიხედვით).....	126
ნუნუ ჩარკვიანი რეზულტატურობა, როგორც მოქმედების სახე ინგლისურსა და ქართულ ენებში.....	130
მაია ჯიჯავა იტალიური დიასპორის ენობრივი მახასიათებლები /xx საუკუნის ემიგრანტი მწერლების ლიტერატურის მიხედვით/.....	135
სოფიკო გვარამაძე რეალური და მხატვრული გამონაგონი მეფე-პოეტ არჩილის შემოქმედებაში.....	140
ნანული კაკაურიძე რიპარდ ვაგნერის რეცეფცია ფრიდრიხ ნიცშეს შრომებში.....	144
თამარ ნინიკაშვილი ვაჟა-ფშაველას პეიზაჟური მინიატურები	148
ნანა რჩულიშვილი ეპიგრაფები "ვეფხისტყაოსნიდან" გალაკტიონის ლექსებისათვის.....	152
ელენე ხოჯევანიშვილი, მანანა კაკაურიძე ბიბლიურ სახეთა მხატვრული ტრანსფორმაცია და მათი სტილისტურ-სემანტიკური ფუნქცია აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.....	156
იაგორ ბალანჩივაძე, სალომე ბზიკაძე ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ მოსწავლეებთან მუშაობის ანალიზი გერმანული ენის გაკვეთილზე.....	161
ანა თენიეშვილი ახალი მოთხოვნების ჩამოყალიბება.....	175
ელენე იაგოვკინა ნიშანთა სახეობები. ნიშანთა სწავლებაში არსებული პრობლემები.....	180

ნანა მაჭარაშვილი სეგმენტური მეთოდი და მისი შესაძლებლობები თანამშრომლობითი სწავლების ეფექტიანობისათვის.....	181
თინათინ მებურიშვილი, მირანდა გობიანი გერმანული ენის გაკვეთილი მუზეუმში.....	188
ნანა პაპუნაშვილი, ეკატერინე ნახუცრიშვილი, ელენე ძამიაშვილი მასწავლებლის როლი უცხო ენის სწავლებისას.....	189
ინგა ტყემალაძე, მანანა ღარიბაშვილი, ნატო მუჩიაშვილი უცხოენოვანი წიგნების კითხვა ელექტრონული ფორმით - პრიორიტეტები და ნაკლოვანებები.....	194
სოფიო ყიფიანი, ქეთევან მემანიშვილი კულტურის როლი ბიზნეს ინგლისურის სწავლების პროცესში.....	205
გიგა ბასილაძე ნიკო ნიკოლაძე - მეორე დასის ლიდერი.....	206
ნატო დვალი განათლება, როგორც ზრდა და განვითარება.....	211
ნინო სოხაძე სამშობლოს სიყვარული მოზარდის ცნობიერებაში აკაკი წერეთლის შემოქმედების მიხედვით.....	215
ეკატერინე ლოსაბერიძე მოსწავლეთა მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები გაკვეთილზე.....	218
ნანა ჩუტკერაშვილი საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინების სტრუქტურა.....	222
თვა ხეცურიანი ინტერტექსტუალურობა, ინტერდისკურსულობა და „ინტერჟანრის კონცეპტი“.....	225
ნათია ჯიქია „იმიტირებული ქრონიკა“ (ერთი „სპეცრეპორტაჟის“ პრეცედენტი).....	229

SPRECHEN – SPRACH – GESPROCHEN: გერმანულენოვანი უმცირესობანი ბრაზილიაში და ბერძნულ და ურუმულ ენებზე მოლაპარაკე ბერძნები საქართველოში

1. შესავალი¹

პირველ ენად (L1) მხოლოდ ერთი ენის ათვისების ევროცენტრისტული ჰიპოთეზის საპირისპიროდ, დღეს ბევრგან უმეტესად რამდენიმე ენის პარალელური ათვისება დასტურდება.² მრავალენოვანი კონტექსტი სულ უფრო ფართოვდება როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე ჩვენთან, გერმანიაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სამხრეთ ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის უმცირესობათა ბოლო სამი თაობის მიერ ენ(ებ)ის ათვისების შედარებითი აღწერა ბრაზილიისა და საქართველოს მაგალითზე.

ჩ. ფერგიუსონმა (Ferguson 1959) დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ ორენოვანი საზოგადოებებისთვის უცხოა ავტოქტონური და ალოქტონური ენების თავისუფალი შენაცვლება ერთსა და იმავე გარემოში. მეტიც, სტაბილური დიგლოსია ორი ენის სწორედ კომპლემენტარულ გამოყენებასა და საზოგადოებრივად დადგენილ ე. წ. ყოველდღიურ და სადღესასწაულო ენობრივ რუტინას ემყარება.

უმცირესობათა ენების გამოყენების არე სულ უფრო მცირდება ე. წ. ენობრივ კუნძულებზეც, რომლებიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა.³ ეს ასეა როგორც ლათინურ ამერიკაში, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში, რადგან გაუმჯობესებული სატრანსპორტო გზები და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები (მასმედიის ჩათვლით) იზოლირებული განვითარების დასრულებას მოასწავებენ. გავლენების მიმართ ენობრივი საზოგადოების ღიაობის შედეგია ის, რომ ახალგაზრდები თითქმის უკლებლივ ორენოვნები არიან და ხშირად პირველი ენის შესადარ ენობრივ კომპეტენციას იძენენ მასპინძელი გარემოცვის ენაშიც (language of the host community), რომელიც, როგორც წესი, სახელმწიფო ენაა. ნაწილობრივ ორენოვნები არიან ასაკოვანი ქართველი ბერძნებიც, რადგან საბჭოთა კავშირში ყოველმხრივ იყო წახალისებული

1 გულწრფელ მადლობას მოვასვენებ ნინო ციხიშვილს ამ სტატიის ქართულად თარგმნისათვის.

2 ავტორი მადლობას უხდის ფოლკსვაგენის ფონდს, რომელიც აფინანსებს პროექტს "The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia". სტატიას ამ პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა უდევს საფუძვლად.

3 "1980 წლამდე ჯერ კიდევ სტაბილური, ამჟამად კი უკვე გაქრობის პირას მისული ამ ენობრივი კუნძულის შედარება, ერთი მხრივ, პომერანიელთა კომპაქტურ დასახლებასთან ესპირიტო სანტოში და, მეორე მხრივ, დიდი ხნის წინ ასიმილირებულ მოსახლეობასთან რომ დე ჟანერიოს ურბანულ სივრცეში მრავალმხრივ საინტერესოა" (Jungbluth/Rosenberg 2014); შდრ. ქვემოთ მე-2 ნაწ.

(და მოთხოვნილიც) რუსული (თუმცა არა ქართული) ენის შესწავლა. ორივე კონტინენტის უმცირესობათა შთამომავალთაგან მრავალი არა ერთ, არამედ რამდენიმე ენას ეუფლება. შესასწავლი ენის არჩევისას უპირატესობა, როგორც წესი, იმ ენას ეძლევა, რომელიც სახელმწიფოში დომინირებს. ბრაზილიაში ეს ენა ბრაზილიური პორტუგალიურია, ხოლო საქართველოში - ქართული.

თუ დავაკვირდებით, თუ როგორ ფლობენ მემკვიდრეობით მიღებული ენის მატარებლები გერმანულს ან გერმანულის ენობრივ ვარიანტებს - მაგალითად, პომერანიულსა და ჰუნსრუკულს - ბრაზილიაში, ხოლო, მეორე მხრივ, პონტოურ ბერძნულს ან ურუმულს საქართველოში, აღმოჩნდება, რომ თაობათა მანძილზე ჩამოყალიბებული ენობრივი ვარიანტები არ ქრება, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ენის სტარდენტებზე ფორმასთან კონტაქტი ინტერნეტის ეპოქაში გაზვიარებულია.

შემდეგ ციტატაში ენის გამოყენების დივერგენცია აშშ-ში მცხოვრები ექსპანურად მოლაპარაკე იმ ახალგაზრდების მაგალითზე განიხილება, რომლებიც მეტ-ნაკლებად ერთდროულად დაეუფლნენ თავიანთი მშობლების ენას - ესპანურის ლათინურამერიკულ ვარიანტს - და ამერიკულ ინგლისურს:

[C]oncentrating on the grammars of second-generation Hispanics in the U.S. scholarly opinion has gravitated toward the position that the Spanish of these speakers reflects a process of incomplete acquisition. This paper invites examination of the alternative view, namely: what we observe in second-generation bilingual Latinos is not errors, as they are frequently described in the literature, but rather points of divergence between their Spanish and that of the previous generation, due to normal intergenerational language change accelerated by conditions of language contact.

(Otheguy 2016)

ალოქტონური ენის დივერგენციის პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია ურბანულ გარემოში. ალოქტონურ ენაზე მოლაპარაკეთათვის რელიგვანტურია პოტენციურ თანამოსაუბრეთა რიცხვი და ინფორმაციის საშუალებათა სიმრავლე. ქალაქებში მიგრირებულთა - მაგალითად, ბლუმენაუმი⁴ ან რიო დე ჟანეიროში მიგრირებულ გერმანელთა ან ბათუმსა თუ თბილისში მიგრირებულ ბერძენთა⁵ - შემთხვევაში გადამწყვეტია მიგრანტთა ინტერესი. მემკვიდრეობით მიღებული უელსური ენის შესახებ წარმოებული კვლევა ინგლისში დამაჯერებლად ცხადჰყოფს, რომ

a H[eritage]S[peaker] who ranked among the most fluent, according to our measures, may simply be uninterested in the content of Welsh media and therefore report very little regular exposure to these materials. [...] Several informants simply dismissed the content of Welsh language programming as uninteresting or claimed they just didn't have the time to read Welsh newspapers in addition to their primary, English language news source. (Boon 2014, 145-146)

მეორე მხრივ, შედარებით ნაკლებად მოხმარებული (მემკვიდრეობით მიღებული) ენის უხარვეზო კომპეტენცია⁶ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, თუ მისი გამოყენება რეგულარულად ხდება. ამასთანავე, როგორც უელსურ ენაზე მოლაპარაკე ლონდონელთა მაგალითზე აჩვენა დ. ბუნმა, ამისთვის კვირაში ოთხი-ხუთი საათიც საკმარისია (Boon 2014, 141).

ჩემს ნაშრომს, თეატრალური პიესის ან მუსიკალური ნაწარმოების მსგავსად, ნაწილებად - ხუთ ნაწილად - გაუშლი. თავდაპირველად წარმოვადგენ ბრაზილიაში მცხოვრები გერმანელი

4 შდრ. Zinkhahn Rhobodes 2012.

5 მადლობას ვუხდი კონჩა ჰიოფლორს, რომელიც გაეცნო ამ ნაშრომს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა მომაწოდა.

6 კომპეტენციის საზომია, მაგალითად, გამონათქვამის საშუალო მოცულობა, მეტყველების საშუალო სიჩქარე, სინტაქსური კომპლექსურობა (ქვეყნობილი წინადადებების რაოდენობა) და საჭირო სიტყვების დასამბუნად საჭირო პაუზების ხანგრძლიობა.

უმცირესობის არსებით ნიშნებს ესპირიტო სანტოში მიგრირებული ჯგუფების მაგალითზე. ამის მომდევნოდ წარმოვადგენ ორსახოვანი იანუსის მსგავს ორენოვან ბერძნულ უმცირესობას საქართველოში. „ლაპარაკის“ აღმნიშვნელი გერმანული ზმნის სამი ძირითადი ფორმა (sprechen – sprach – gesprochen) იმდენად განსაზღვრავს ნაშრომის სტრუქტურას, რამდენადაც მათთან კორელაციაში განვიხილავ ენ(ებ)ის გამოყენებას სამი თაობის (პაპა-ბებიების, შშობლებისა და შვილების) მიერ. ჩემთვის მნიშვნელოვანია „გაგების“ კომპონენტის ჩართვა კვლევაში, რათა ენობრივი კომპეტენციები სრულად წარმოვადგინო ორივე განზომილების - რეცეპციისა და პროდუქციის - მიხედვით.

2. გერმანული უმცირესობა ბრაზილიაში

ბრაზილიამ თავი მხოლოდ ახლახან ცნო მრავალენოვან და პლურისკულტურულ ქვეყნად, რომელსაც პოლიტიკური ღონისძიებების გატარებით⁷ საკუთარი ენობრივი მრავალფეროვნების (riqueza lingüística „ენობრივი სიმდიდრე“) ხელშეწყობა და საკუთარი მოსახლეობის მულტიეთნიკური წარმომავლობის წარმოჩენა სურს. თავდაპირველად წინა პლანზე ინდიგენური ენები იყო წამოწეული⁸, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავრობის დავალებით ენობრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა (Instituto de Investigação e Desenvolvimento em Política linguística - IPOL) დღის წესრიგში მრავალენოვნების ხელშეწყობაც შეიტანა, წასახალისებელ ენათა რიგში ჩადგა უმცირესობათა უკლებლივ ყველა ენა - როგორც ავტოქტონური, ასევე ალოქტონური.

მხარდასაჭერ ენებად - მამასადაძე, ენებად, რომლებსაც ავტოქტონურად გადაქცევის პოტენცია აქვთ, - აღიარებულია ბრაზილიის ტერიტორიაზე არსებული ყველა ენა, რომელზეც სამ თაობაზე მეტი⁹ ლაპარაკობს (Morello 2012).

ფ. ტაკე (Tacke 2015), რომელიც ამა თუ იმ ჯგუფის ავტოქტონურობას (autochtoness) თანამედროვე კონტექსტში განიხილავს, ავტოქტონურობის ხარისხებს (მაჩვენებლებს) ავტოქტონიასა და ალოქტონიას შორის გავლებული დროის უწყვეტი ხაზის ამა თუ იმ წერტილში ათავსებს. დროის ხაზის ის წერტილი, რომელშიც ალოქტონია ავტოქტონიაში გადადის, მეოცე საუკუნის დასაწყისს ემთხვევა, რაც ძალზე უმნიშვნელოდ განსხვავდება სამი თაობის იმ წესისგან, რომელიც ბრაზილიის ენობრივ პოლიტიკას უდევს საფუძვლად.

თუ სიზუსტეს დავიცავთ, გერმანულ და პორტუგალიურ ენაზე მოლაპარაკე ბილინგვები უნდა დახასიათდნენ როგორც მულტილინგვები, რადგან სტანდარტული გერმანულის გარდა,

⁷ ძირითადად ვეკრდნობი 2010 წლის დეკემბერში გამოცემულ დეკრეტს, რომელიც მიზნად ისახავს ბრაზილიის ენობრივი მრავალფეროვნების ეროვნული ჩამონათვალის შექმნას (*Decreto nº 7.387, de 09 de dezembro de 2010: Inventário Nacional da Diversidade linguística*). დეკრეტს წინ უძღოდა (ვეროპელ და სხვა) იმიგრანტთა ენების თანაოფიციალურ ენებად გამოცხადება და მათი ჩართვა სათემო სასკოლო განათლებაში (თემი 'município' პასუხს აგებს 10 წლამდე ასაკის ბავშვთა სკოლამდელ აღზრდასა და დაწყებით განათლებაზე - *Lei Municipal 987 de 27 de junho de 2007*). ასე იქნა კოდფიცირებული, მაგალითად, პომერანიული, რომელზეც ლაპარაკობდნენ ყოფილ გერმანულ მიწებზე ბალტიის ზღვის გაყოფებით, და ჰუნსრუკული, რომელზეც ლაპარაკობენ გერმანიის დასვლეთში, საფრანგეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე. ორივე მათგანი, ისევე როგორც ტალიანი (*Talian*), რომელიც იტალიურს მიეკუთვნება და ვენეტოს დიალექტზე დაიყვანება, შეტანილი იქნა ეროვნულ ჩამონათვალში (Morello 2012, 34; Jungbluth/Gaio 2015; Gaio forthcoming). ტალიანი, როგორც არამატერიალური კულტურული ფასეულობა, უკვე რამდენიმე წელია რეგისტრირებულია *Instituto do Patrimônio Histórico e Artístico Nacional*-ში.

⁸ სამ ინდიგენურ ენას - ნენგატუს, ტუკანოს და ბანივას - კანონით (*Lei nº 145 de 11 de dezembro de 2002*) მიენიჭა თანაოფიციალური ენის სტატუსი, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებელს ხდის მათს სახელმწიფო ენის ფუნქციით გამოყენებას ამაზონასის შტატის São Gabriel da Cacheira-ს თემში (Morello 2012).

⁹ სამი თაობის წესს კიდევ ერთხელ დავუბრუნდები მე-5 თავში იაპონიაში რემიგრირებულ ბრაზილიელებზე საუბრისას (შდრ. Vogelsang 2016).

რომელიც, მაგალითად, ფლორიანოპოლისის რამდენიმე სკოლაში ისწავლება, კვლავაც გრძელდება გერმანული ენის ნაირსახეობათა - ჰუნსრუკულისა¹⁰ და პომერანიულის - გამოყენების ტრადიცია. გერმანული ენის ეს ორივე ვარიანტი ლექსიკურ-გრამატიკულად იქნა აღწერილი და სასკოლო სახელმძღვანელოებშიც გამოიყენება როგორც სწავლების ენა. მრავალენოვნება მრავალი მოლაპარაკისა და მსმენელისთვის, ამგვარად, მხოლოდ ბრაზილიური პორტუგალიურითა და გერმანულით კი არ შემოიფარგლება, არამედ იგი სულ მცირე სამმაგია, რადგან წარმომავლობით განპირობებულ იმ (დიალექტურ) ვარიანტსაც მოიცავს, რომელიც დამოუკიდებელ - ხოლო ზოგისთვის სულაც პირველ ენად შეთვისებულ - ენას წარმოადგენს¹¹. მათთვის კი, ვისაც სხვა წარმომავლობა აქვს, ეს ენა, ცხადია, უცხო ენაა.

გერმანული მიგრანტების შთამომავლებთან აშკარად შეინიშნება ბრაზილიურ პორტუგალიურზე გადასვლა (Zinkhahn Rhobodes 2012).

Zwar existieren ethnoterritoriale Kerne, in denen die Minderheitensprachen vital sind, z.B. das Pomerano in den erwähnten Regionen in Espírito Santo oder das Hunsrückische in Rio Grande do Sul¹², jedoch sind die Deutschsprechenden (und Ähnliches gilt für alle Sprecher von Einwanderersprachen) alle mehrsprachig (Laudien 2010) und zunehmend eher Fremdsprachenlerner des Deutschen, vor allem Jüngere und Bewohner von urbanen Gemeinden des brasilianischen Südens. (Jungbluth/Rosenberg, Ethnicity in Motion: DAAD Projektantrag 2014)

პომერანიელების, ჰუნსრუკებისა და სხვა ევროპელების ბრაზილიაში დასახლებას წინ უძღოდა 1807 წელს პორტუგალიის მეფის, ჟოაო VI-ის, ბრაზილიაში გადახვეწა, რასაც შედეგად ბრაზილიის დამოუკიდებლობა მოჰყვა (ვენის კონგრესი 1815 წელს და ბრაზილიის პორტუგალიასთან გათანაბრება). 1822 წელს ჟოაო VI-ის ვაჟმა, რიო დე ჟანეიროს ტახტის მემკვიდრე პედრო I-მა, ბრაზილიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო ორი წლის შემდეგ მანვე წამოიწყო კოლონიზაციის მასშტაბური პროექტი, რომელიც რიო დე ჟანეიროს ირგვლივ და ბრაზილიის სამხრეთში არსებული მიწების ათვისებასთან ერთად მოსახლეობის embranchamento-ს („გათეთრებას“) ითვალისწინებდა და ამისთვის მიზანმიმართულად ახალისებდა თეთრკანიანების (ევროპელების) მიგრაციას სამხრეთ ამერიკაში.

ევროპაში კი ინდუსტრიალიზაციამ ისე იმოქმედა ქალაქებსა და სოფლებზე, რომ გლეხები, ხელოსნები და უბრალო მუშები მზად იყვნენ აყრილიყვნენ და ახალ სამყაროში ეძებნათ ბედი. მათი უმეტესობა ჯგუფ-ჯგუფად სახლდებოდა განაპირა რაიონებში. ისინი ერთმანეთთან კვლავაც მათთვის ჩვეულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ, თუმცა წარმოიშვა შერეული დასახლებებიც, რომლებშიც ენობრივი ვარიანტების ურთიერთგაწონასწორების პროცესები დაიწყო (Altenhofen 1996, 2016). ბრაზილიურ გარემოცვასთან კომუნიკაციას მიგრანტები თავიანთი თემის ცალკეულ წევრებს ანდობდნენ, ასე რომ გამონაკლისის სახით მათში ორენოვანი ადამიანებიც ერიენ.

გერმანული სოფლების - ესპირიტო სანტოს (Espírito Santo), სანტა კატარინას (Santa Catarina) და რიო გრანდე დო სულის (Rio Grande do Sul) - მკვიდრთა მსგავსად, საქართველოში მცხოვრები ბერძნებიც საბჭოთა კავშირის შექმნამდე მეტ-ნაკლებად ერთენოვანი იყვნენ (შდრ. მომდევნო მე-3

10 შდრ. Altenhofen 1996, 2016.

11 დასახლებული რაიონებიდან რამდენიმეში DAAD-ისა და CAPES-ის მიერ დაფინანსებული ორმაგი სადოქტორო პროგრამის (Ethnicity in Motion - ProBral II: 2015-16) ფარგლებში სავსე კვლევის საბუშაოებს ატარებენ ახალგაზრდა მეცნიერები, ერთი მხრივ, რიო დე ჟანეიროს შტატის ქალაქ ნიტეროის Universidade Federal Fluminense-დან (მონიკა სავედრას ხელმძღვანელობით) და, მეორე მხრივ, ოდერის ფრანკფურტის Europa-Universität Viadrina-დან (ამ სტატიის ავტორისა და პეტერ როზენბერგის ხელმძღვანელობით) (Savendra/Höhmann 2013; Jungbluth forthcoming).

12 ენობრივ კუნძულებზე ენობრივი მასალის მოპოვების პრობლემატიკის შესახებ შდრ. Maselko 2015.

თავი). წერა-კითხვის მასობრივი შესწავლა (რუსულად)¹³, რომელიც არა მარტო სასკოლო ასაკის ბავშვებს, არამედ მოზრდილებსაც შეეხო, აქ გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ლათინურ ამერიკაში. მანამდე კი, უდავოა, ბერძნულ თემში არსებობდნენ ცალკეული წევრები, რომლებსაც გარემოცვასთან საურთიერთოდ ათვისებული ჰქონდათ რომელიმე მეორე ენაც - რუსული, ქართული ან სომხური.

3. ბერძნული ენობრივი უმცირესობა საქართველოში

საქართველო პატარა¹⁴ მრავალენოვანი ქვეყანაა. მოსახლეობის 16%-ის დედა ენა სახელმწიფო ენისგან განსხვავებული ენაა (თვით უმცირესობათა ენებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია), ამასთანავე, უმცირესობის წარმომადგენელთა უმრავლესობამ იცის რუსული, ხოლო ნაწილმა - პირველ რიგში, ახალგაზრდობამ - ასევე ქართული, რომელიც დღეს რელიგიანტური სახელმწიფო ენაა.¹⁵ ბერძნული უმცირესობა თავს ერთ ეროვნებად განიხილავს (ამ კატეგორიის პოსტსაბჭოთა გაგებით), თუმცა ეს ერთი ეროვნება განსხვავებულ ენებზე მეტყველთა ორ ჯგუფს აერთიანებს. ერთნი იყენებენ ურუმულს (Höfler 2011), რომელიც, თურქულის მსგავსად, ავლუტინაციურ ენობრივ ტიპს მიეკუთვნება (Skopeteas in press), მეორენი კი - პონტოურ ბერძნულს (Ries et al. 2014; Sitardou 2016), რომელშიც ნაწილობრივ ბერძნულის ძველებური ენობრივი ფორმებია შემორჩენილი. ორივე ჯგუფს აერთიანებს მართლმადიდებლური რწმენა (Höfler 2016). სწორედ ამ რწმენამ განაპირობა მათი მიგრაცია თავის დროზე: ნიკოლოზ I-ის დროს მათ დატოვეს სამშობლო, რათა მოსალოდნელი ისლამიზაციის წნეხისთვის დაეღწიათ თავი.

ბერძნულენოვანი უმცირესობის წინაპრები მე-19 საუკუნეში გადასახლდნენ შავი ზღვის სამხრეთით მდებარე პონტოს რეგიონიდან, რომელიც ისტორიულად ექვს ბერძნულ-მართლმადიდებლურ საეპისკოპოსო ეპარქიას მოიცავდა (Xanthopoulou-Kyriakou 1991; Eloeva 1998; Loladze 2016). ქართველი ბერძნების უმეტესობის შორეული წინაპრები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ქალაქებში - ყარსში, ერზურუმში, ტრაპიზონში, გუმუსანეში - და ამ ქალაქების მიმდებარე სოფლებში სახლობდნენ. საქართველოს მოსახლეობის აღწერისას ორივე ენობრივი ჯგუფის წევრები - ურუმებიც და პონტოელი ბერძნებიც - ერთი სახელით, “ბერძნებად” მოიხსენიებან. 2002 წელს საქართველოში 15.200-მდე ბერძენი აღირიცხა (National Statistical Office of Georgia 2011: 22). მაგრამ ამჟამად მათი რაოდენობა თითქმის 70%-ით არის შემცირებული¹⁶ (Loladze 2016). მას შემდეგ, რაც საბერძნეთმა ისინი Ἑλληνας-ად აღიარა, მათ ისტორიულ სამშობლოში გამგზავრების, ევროპული პასპორტის აღებისა და - ზოგ შემთხვევაში - სხვა ქვეყნების მიმართულებით მიგრაციის

13 ენის ისტორიისა და დაწერლობის ურთიერთობის შესახებ შდრ. Gippert 2004.

14 სიდიდით დაახლოებით ბავარიის ტოლია.

15 „Population by region, by native languages and fluently speak Georgian language“ & „Total population by regions and ethnicity“ <http://census.ge/en/results/census> 03062016

16 „Since the 1990s, the outflow of the population involved all ethnic groups residing in the country – including the Greek population. In addition to considering the aforementioned factors which directly influenced the emigration process in Georgia and affected the entire Georgian population, the aim of this study is to identify the specific conditions and factors that led to the massive out-migration of the Greek population. According to general censuses, this outflow reduced the Greek share of the population from 1.9% in 1989 (100,324 individuals) to 0.3% (15,166) in 2002 (see Tab. 1). It is also noteworthy that, due to migration, the share of the Greek population has further decreased since 2002, and currently fluctuates between 3,000 and 5,000 according to estimates by the Federation of the Greeks of Georgia.“ (Loladze 2016). ზოლო აღწერა (2014, published 05/2016) ცხადყოფს, რომ 3000 -ზე მეტი ბერძენი ძველებურად სოფლებში ცხოვრობს, ხოლო 2000 - ქალაქებში (მათ შორის 1800-ზე ცოტა მეტი - თბილისში) („Total population by regions and ethnicity“ <http://census.ge/en/results/census>; 03062016).

გაგრძელების საშუალება მიეცათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „წინაპრების ქვეყანაში“ ბევრი მათგანი გარიყული აღმოჩნდა, რადგან, ერთი მხრივ, მათი ენა საგრძნობლად განსხვავდება თანამედროვე ბერძნულისგან, ხოლო, მეორე მხრივ, მათი კულტურა, რომელიც კავკასიის სხვა კულტურებთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა, უცხოა იმ ბერძნებისთვის, რომლებიც მთელი თაობების მანძილზე საბერძნეთში ცხოვრობენ (Kartvelishvili forthcoming).

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში - როგორც რუსული იმპერიის, ისე საბჭოთა კავშირის არსებობის დროს - სოციალურად მნიშვნელოვანი ენა რუსული იყო (Pavlenko 2011).¹⁷ საბჭოთა კავშირში რუსული არა მარტო ადმინისტრაციის ენას წარმოადგენდა, არამედ იგი, როგორც *Lingua Franca*, მრავალი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფდა. საბჭოთა კავშირის დროს რუსული ფართოდ იყო გავრცელებული ქართველი ბერძნების დასახლებებშიც (Zoumpalidis 2013). საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ (1991 წლიდან) ქართულმა - ოფიციალურმა სახელმწიფო ენამ - თანდათან ჩაანაცვლა რუსული. პირველ უცხო ენად ბევრ სკოლაში რუსულის მაგიერ უკვე ინგლისური ისწავლება (Pavlenko 2008). უმცირესობის ენის მატარებელთა უმეტესობაც ქართულს ეუფლება და ცდილობს არა მარტო ლაპარაკი ისწავლოს ამ ენაზე, არამედ წერაც (Kock Kobaidze 1999).

ცვლილები აისახა ახალ საგზაო ფირნიშებზეც. ასე, მაგალითად, წალკაში¹⁸, ერთ-ერთ იმ გეოგრაფიულ პუნქტში¹⁹, რომელშიც ჩვენი კვლევითი პროექტით (The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia ²⁰) გათვალისწინებული საველე სამუშაოები ტარდებოდა, ქუჩების სახელები ქართული და ლათინური შრიფტით არის მოცემული (თუმცა იმავე წალკაში ზოგან რუსული და ალაგ-ალაგ ბერძნული შრიფტით კვლავაც ლინგვისტური ლანდშაფტის ნაწილია²¹).

როგორც აღვნიშნე, ქვემოთ წარმოვადგენ უმცირესობათა თაობების - შვილების, მშობლებისა და პაპა-ბებების - მიერ ენ(ებ)ის გამოყენების შედარებით აღწერას „ლაპარაკის“ აღმნიშვნელი ზმნის სამი ძირითადი ფორმის (*sprechen – sprach – gesprochen* ²²) მიხედვით. ქრონოლოგიის დაცვის მიზნით, ბოლოდან - წარსულიდან - დავიწყებ.

4. *gesprochen* (ულაპარაკიათ)

დღევანდელი მოზარდების ბებიები და პაპები, რომლებიც სოფელში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, ყოველდღიურ მეტყველებაში იმ ენობრივ ვარიანტებს იყენებ(დნ)ენ, რომლებიც

17 რუსეთის იმპერიის დროს რუსიფიკაცია მხოლოდ ელიტას შეეხო, ხოლო საბჭოთა კავშირში, როგორც უკვე აღინიშნა, მეტ-ნაკლებად ყველა მოქალაქეს მოუწოდებდნენ რუსულ ენას დაუფლებოდა (Pavlenko 2011). იმ დროს, როცა რუსულად მოსაუბრე მონოლინგვები თავს ლაღად გრძნობდნენ, სხვა ენებზე მოლაპარაკენი იძულებულნი იყვნენ რუსული ენა შეესწავლათ (Kock Kobaidze 1999).

18 ქართ. წალკა, სომხ. Մալկա, ბერძნ. Τσαλκα, რუს. Цалка.

19 აი, ურუმის ენის ერთი გლოსირებული მაგალითი (Skopeteas forthcoming): *gäl-di-lär tsalka-da, bah-ti-lär bur-da var-i-di çay, gël. come-PST-3.PL Tsalka-LOC look-PST-3.PL here-LOC EXIST-COP-PST[3] river lake* 'ისინი მოვიდნენ წალკაში და ნახეს, რომ აქ არის მდინარე და ტბა.'

20 # 87 169 VW Stiftung (2013-2016).

21 ასე, მაგალითად, ტექსტები სარეკლამო დაფებზე, მენიუებში და საფლავის ქვებზე.

22 ეს არის ვარიაცია ჯენი ერპენგეის რომანის (2015) სათაურისა *gehen – ging – gegangen*. რომანის ავტორის მსგავსად, ჩემთვისაც მნიშვნელოვანია მიგრაციის თემა.

მათმა მიგრანტმა წინაპრებმა ჩამოიყოლეს: პომერანულსა და ჰუნსრუკულს²³ - ბრაზილიაში, პონტოურ ბერძნულსა (Sitardou 2016) და ურუმს - საქართველოში (Höfler 2011 & 2016; Skopeteas 2016). ამ ადამიანების უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში ერთენოვანი იყო. ამჟამად კი ისინი გარემოცვის ენასაც ფლობენ, ყოველ შემთხვევაში, პასიურად მაინც იციან ეს ენა, რადგან თითქმის ყველას შეუძლია ორ ენაზე წარმართული საუბრის შინაარსის გაგება (Jungbluth forthcoming).

მემკვიდრეობით მიღებული ენობრივ ვარიანტი, ცხადია, ზუსტად არ ემთხვევა წინაპრებისას, ანუ შთამომავლები არასოდეს მეტყველებენ ზუსტად ისე, როგორც მათი წინაპრები მეტყველებდნენ. თვით მცირერიცხოვან ენობრივ ჯგუფებშიც კი თაობიდან თაობამდე ენა ცვლილებას განიცდის (შდრ. «gradual language change across generations»: Bakker/Matras 2013, 4).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია განსხვავებული ენობრივი ვარიანტების ურთიერთქმედება და ურთიერთგავლენა. განსხვავებები არა მხოლოდ დიალექტებსა და კილოკავებს, არამედ იმ მეტყველების ფორმებს შორისაც არსებობს, რომლებიც მცირე ჯგუფებისა და ცალკეული ოჯახებისთვისაა დამახასიათებელი (Schneider 2003). ამგვარ ურთიერთგავლენებს ხშირად ურთიერთგამაწონასწორებელს უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ კონვერგირებული ფორმების შენარჩუნების ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ამა თუ იმ ენობრივ ვარიანტში უზუალებული თავისებურებებისა.

და აბოლოს: არამონათესავე (ანდა შორეულად მონათესავე) ენასთან კონტაქტში წარმოებული ინტეგრაცია დინამიური პროცესია, რომელიც არა მარტო ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი სპეციალური ტერმინების გადმოღებაში, არამედ ენის მორფოსინტაქსურ და პრაგმატულ დონეზე მომხდარ ცვლილებებშიც ვლინდება.

In multilingual communities, languages are known to become structurally similar to one another through the process called convergence. (Bakker/Matras 2013, 3)

გერმანულად წერა-კითხვა, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთეულებს აუთვისებიათ, რადგან, ახალგაზრდა მკვლევრების ცნობით, კითხვარების შევსებას ხანდაზმული ინფორმატორები მაშინ უფრო მეტი წარმატებით ახერხებენ, როცა გერმანული ტექსტი ბრაზილიური პორტუგალიურისთვის მისადაგებული ანბანით არის ჩაწერილი (Hunsrik xraywe „Hunsrückisch schreiben“ Maselko 2013), ვიდრე მაშინ, როცა, მაგალითად, შიშინა ბგერები, გერმანული ორთოგრაფიის ნორმების შესაბამისად, s-c-h გრაფემებით არის გამოსახული (Hamester / Maselko / Solange / Dewes 2014). წერა-კითხვა ბევრმა აითვისა, ოღონდ სწავლის დროს მთავარ მისაღწევ მიზანს ბრაზილიურ პორტუგალიურად წერა და კითხვა წარმოადგენდა. რადგან ორივე ენა ლათინურ შრიფტს იყენებს, წერა-კითხვის ეს ტექნიკა - წინა აბზაცში მოყვანილი შეზღუდვების გათვალისწინებით - შეიძლება გერმანული დიალექტებისა და სტანდარტული გერმანულისთვისაც იქნას გამოყენებული, თუმცა აღსანიშნავია, რომ რაიმეს დაწერისა თუ წაკითხვის საჭიროებასა და საბაზს თითქმის მუდამ მხოლოდ ბრაზილიური (ბრაზილიის პორტუგალიურენოვანი) კონტექსტი განსაზღვრავს.

გარკვეული აზრით, იგივე შეიძლება ითქვას ბერძნულზე საქართველოში. ურუმული დღემდე მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებშია წერილობით ფიქსირებული²⁴, პონტოური ბერძნული კი შეიძლება, ერთი მხრივ, ძველ ბერძნულს, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ბერძნულს დავუკავშიროთ. ბერძნების უმრავლესობას რუსული ანბანის გამოყენების გამოცდილება უფრო აქვს,

23 გვხვდებიან ასევე გერმანიის სხვა მხარეებიდან წამოსული მიგრანტებიც, რომლებიც თავიანთ ენობრივ ვარიანტზე - მაგალითად, ზემო გერმანულზე - მეტყველებენ (Savdra/Höhlmann 2013), ოღონდ მათი რაოდენობა მიახლოებითავე ვერ შეედრება პომერანიიდან და ჰუნსრუკიდან მიგრირებულთა რიცხვს.

24 შდრ. Ries et al. 2014.

რადგან წერა-კითხვა მათთვის, როგორც წესი, რუსულს ანუ იმ ენას უკავშირდებოდა (Zoumpalidis 2013), რომელიც საქმიანი ქალაქების წარმოებისას უმცირესობების მიერ პრივილიგირებული ენა იყო საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ბერძნული ანბანი მხოლოდ ზოგიერთს ჰქონდა შესწავლილი - უპირატესად რელიგიური მოტივაციის გამო.

5. sprach[en] (ლაპარაკობდნენ)

რაც შეეხება მშობლების თაობას, იგი დაახლოებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოველინა ქვეყანას. ამ თაობის წარმომადგენლები უნდა დახასიათდნენ როგორც ბილინგვები. გერმანული ენის დიალექტური და კილოკავური ვარიანტების გათვალისწინების შემთხვევაში კი ისინი მულტინგვებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. თითქმის ყველა თავისუფლად მეტყველებს მოქმედ (საქართველოს შემთხვევაში: ყოფილ) ოფიციალურ ენაზე. ბევრი მათგანი დადიოდა სკოლაში და წერა-კითხვას დაუფლებულია. თავიანთ ბილინგვურ იდენტობას ისინი ხშირად ორენოვანი დისკურსით²⁵ გამოხატავენ:

Halb das Blut ist Deutsch und nacionalidade é brasileiro, então sind wir so durchgeschnitten ne, aber coraçao chora pros dois. (Laudien 2010)

[...] the motivation described by Bakker (1997) [is] to flag bilingual identity in the form of mixed utterances [...]. (Bakker/Matras 2013, 5;)

მათი შვილები მათსავით კარჩაკეტილად აღარ იზრდებიან. ყველა ოჯახს აქვს ტელევიზორი, ყველგან უყურებენ საინფორმაციო გამოშვებებს ოფიციალურ ენებზე, ასევე ბრაზილიურ ტელენოველებსა (telenovelas) და, შესაბამისად, რუსულ სერიალებს. თავიანთ მშობლებთან შედარებით ამ თაობის წარმომადგენლები უფრო დიდ სოციალურ - და ასევე გეოგრაფიულ - სივრცეში მოძრაობენ, ისინი უფრო მობილურები არიან და მათი თვალსაწიერიც მშობლებთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო ფართოა²⁶. ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით ისინი დროდადრო ახლომდებარე ქალაქებში მიემგზავრებიან, რათა გადაუდებელი საქმეები მოაგვარონ, ექიმს გაესინჯონ ან თავიანთი შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში საკვები პროდუქტი და საყოფაცხოვრებო ნივთები შეიძინონ.

6. sprechen (ლაპარაკობენ)

შვილების თაობას ეკუთვნიან მოზარდები და ახალგაზრდები, რომელთა განათლება ორიოდ წლით კი აღარ შემოიფარგლება, არამედ საფუძვლიან სასკოლო განათლებას გულისხმობს. ბევრს შეუძლია სკოლის ზედა საფეხურზე სწავლა ქალაქში განაგრძოს. ქართველი ბერძნების შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა ნაწილობრივ უკვე მშობლების თაობასაც ჰქონდა. ზოგიერთი ოჯახი ქალაქში გადადის და საცხოვრებლად მეტროპოლიას ირჩევს, ბრაზილიაში - რიო დე ჟანეიროს, საქართველოში - თბილისს. ასეთ შემთხვევაში მშობლიური ენობრივი ვარიანტის გამოყენება მხოლოდ ოჯახითა და იფარგლება და არცთუ იშვიათად მხოლოდ პაპა-ბებიასთან ურთიერთობამდეც კი დაიყვანება, რომლებიც საცხოვრებლად უმეტესად კვლავ სოფელში რჩებიან. ამ პუნქტში კავკასიელი ბერძნები სამხრეთამერიკელი გერმანელებისაგან არ განსხვავდებიან. მშობლები,

²⁵ შტრ. Poplack 1980; Tracy/Lathey 2010; Jungbluth/Meierkord 2007.

²⁶ ქართველ ბერძნებს რაც შეეხებათ, ბევრი მათგანი საკმაოდ განათლებულია. ზოგ მათგანს რუსული საუნივერსიტეტო განათლება აქვს მიღებული და სტუდენტობის წლებიც, შესაბამისად, რუსეთის ქალაქებში აქვს გატარებული.

რომლებსაც თვითგამოხატვა ოფიციალურ ენაზე ეხერხებათ, შვილებთან ურთიერთობაში ხშირად სწორედ ამ ენას იყენებენ, რომელიც, მათი შეფასებით, საზოგადოებრივ სარბიელზე დაწინაურების პირობაა. ხშირ შემთხვევაში და-ძმანი ერთმანეთთან ბრაზილიურ პორტუგალიურად ლაპარაკობენ, საქართველოს შემთხვევაში კი ბერძნები (ახალ) მეზობლებთან ქართულ ენაზე ურთიერთობენ. ეს „მესამე თაობა“ ქართულად, როგორც წესი, უაქცენტოდ და თემატურად ადეკვატურად მეტყველებს, ქართული მათი ყველაზე „ძლიერი“ ენაა.²⁷ სკოლაში თუ ადრე რუსული ითვისებოდა პირველ სავალდებულო უცხო ენად, ახლა იგი ჩანაცვლა ინგლისურმა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერნეტით კომუნიკაციისას. ასეთ დროს ხშირად, თანამოსაუბრეთა ცოდნის კვალობაზე, ლათინური ტრანსლიტერაციით ქართული და რუსული ენებიც გამოიყენება.

და-ძმები არაერთგვაროვნად ფლობენ ენებს. პირშშოთა გარემო და სოციალური კონტაქტები მათი ცხოვრების პირველ წლებში ჯერ კიდევ წარმომავლობის ენის გავლენითაა აღბეჭდილი, სხვა მიზეზებთან ერთად იმის გამოც, რომ, როგორც წესი, მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც პირველი შვილიშვილის მოვლას პაპა და ბებია კისრულობენ. მომდევნო და-ძმას კი შედარებით ნაკლები კონტაქტი აქვს წარმომავლობის ენასთან. ისინი ერთმანეთთანაც იმ (სახელმწიფო) ენაზე ლაპარაკობენ, რომელსაც თანატოლ მეგობრებთან ურთიერთობისას იყენებენ. განსაკუთრებით საგრძნობია წარმომავლობის ენაზე მეტყველების უნარის დაქვეითება, როცა ოჯახი საცხოვრებლად ქალაქში გადადის, თუმცა სანამ პაპა-ბებია ცოცხალია და მათთან კონტაქტი არსებობს, შვილიშვილები ენის პასიურ ცოდნას ინარჩუნებენ. ეს კონტაქტი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აღწევს შესავალში ნახსენებ კვირეულ ხუთ საათს, რომელიც სამეტყველო უნარ-ჩვევის შესანარჩუნებლად არის საჭირო.

აქვე მსურს გაკვრით შევებო იმიგრანტთა მდგომარეობას იაპონიაში და ამ კონტექსტში კვლავ დავუბრუნდე სამი თაობის წესს. იაპონიაში ბოლო ხანს დაგროვილი გამოცდილება ყველა ქვეყნისთვის საგულისხმოა, რომელშიც კი მრავალენოვნებასთან გვაქვს საქმე. იაპონიის მთავრობამ ჩათვალა, რომ მესამე თაობის იმიგრანტებს შენარჩუნებული უნდა ჰქონოდათ წარმომავლობის ენის ცოდნა. მას შემდეგ, რაც მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან იაპონიის ეკონომიკამ აღმავლობა დაიწყო და მუშახელზე მოთხოვნა გაიზარდა, სამხრეთ ამერიკაში - განსაკუთრებით კი ბრაზილიაში (და ასევე პერუში) - მიგრირებულ იაპონელთა ოჯახების რემიგრაციის წახალისების მიზნით, 1990 წელს მთავრობამ გამოსცა აქტი (Immigration Control and Recognition Act), რომლითაც შეუზღუდავი რემიგრაციის უფლება მიანიჭა მიგრანტთა შთამომავლებს მესამე თაობის ჩათვლით (Gottlieb 2008, 133). სასკოლო განათლებაზე პასუხისმგებელი პირები მალე დარწმუნდნენ, რომ მთავრობა შეეცადა, როცა ივარაუდა, რომ რემიგრანტებს, თავიანთი წარმომავლობის გამო, იაპონური ენაც აუცილებლად უნდა სცოდნოდათ. აუცილებელი გახდა თავდაპირველად იაპონურის, როგორც მეორე ენის, უკრიკულუმის შემუშავება, რათა უცხოეთში დაბადებული იაპონელების განათლების საქმე მოწესრიგებულიყო (Vogelsang 2016).

მესამე თაობის მოზარდებსა და ახალგაზრდებში, საზოგადოდ, უმრავლესობის ენაზე გადასვლა შეიმჩნევა. ენობრივი კომპეტენციის მხრივ ისინი მხოლოდ იმდენად ჰგვანან თავიანთ პაპა-ბებებს, რამდენადაც, ყოველდღიური სამეტყველო ენის თვალსაზრისით, ისინიც მონოლინგვებად უნდა ჩაითვალოს, ოღონდ მათი სალაპარაკო ენა შესაბამისი სახელმწიფო ენაა: სამხრეთ ამერიკაში -

27 სამეტყველო ენის არჩევას გამოვლენილი ამგვარი ასიმილაციური განწყობა მიგრანტთა მასპინძელი ქვეყნების უმრავლესობაში დასტურდება. მას სასურველად მიიჩნევენ და მიგრანტებს ურჩევენ მასპინძელი ქვეყნების მასწავლებლები, ექიმები და სოციალური მუშაკები, მაგალითად, აშშ-ში და კანადაში მე-20 საუკუნის შუახანებამდე. ზოგან - მე-20 საუკუნის ბოლომდეც კი.

ბრაზილიური პორტუგალიური ან პერუული ესპანური, ხოლო კავკასიაში - ჯერ კიდევ რუსული, მაგრამ სულ უფრო მეტად ქართულიც. წარმომავლობის ენას ისინი უმეტესად გარკვეული თემატიკის ფარგლებში ფლობენ, რაც შეიძლება აღიწეროს ტერმინით heritage language.²⁸

7. დასკვნა და პერსპექტივები

ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მომხდარმა სოციალურმა, განსაკუთრებით კი პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ორივე ქვეყანაში ერთი და იგივე პროცესი განაპირობა: ალოქტონური ენობრივი ვარიანტები სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება, ახალგაზრდა თაობა მათ სრულად მხოლოდ იშვიათად ეუფლება და არ მოიხმარს მათ თანამოსაუბრეთა დიდ რაოდენობასთან საკომუნიკაციოდ.

თითქოს ანაქრონიზმია, რომ ბრაზილიურმა საზოგადოებამ სწორედ ამ ისტორიულ მომენტში აღმოაჩინა თავისი მრავალფეროვანი ენობრივი საუნჯის განსაკუთრებული ფასი. ძალისხმევა, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ ცხოვრების პირველ ათწლეულში ბავშვებმა ორენოვანი განათლება მიიღონ (განსხვავებული ენობრივ-კულტურული გარემოდან გამოსული მოსწავლეებისთვის ასეთი სწავლება იმერსიულ, ვირტუალურ მეთოდისასთან კავშირში მიმდინარეობს), ენების გაქრობის პროცესის შეჩერებისა და ამ ენებისკენ მოლაპარაკეთა ახალი ჯგუფების მოზიდვის ცდაა. ნათელი არ არის, რამდენად საკმარისი და შესაფერისი აღმოჩნდება ეს - ჯერჯერობით დროში ძალზე შემჭიდროებული - ღონისძიებები ენობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

ქართულ კონტექსტს რაც შეეხება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველი ბერძნების ორენოვანი დიასპორა საგრძნობლად შემცირდა. მართალია, საბერძნეთის კრიზისის შემდეგ რემიგრაციული პროცესებიც შეინიშნება, მაგრამ ბევრი ქართველი ბერძენი - განსაკუთრებით ახალგაზრდობა - აგრძელებს მიგრაციას დასავლეთის სხვა ქვეყნებისკენ. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად კვიპროსი (Zoumpalidis 2016), გერმანია და, ზოგ შემთხვევაში, აშშ (Loladze 2016). რამდენად საკმარისია საქართველოში დარჩენილი და საქართველოდან მიგრირებული ბერძნების ინტერაქცია თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით იმისათვის, რომ ენის ორმხრივად მოხმარებამ ამ ენის გადასარჩენად საჭირო მოცულობას მიაღწიოს - ეს კითხვა შესაძლოა შემდგომი კვლევების ამოსავალი წერტილი გახდეს.

გერმანულიდან თარგმნა ნინო ციხიშვილმა

ლიტერატურა:

- Altenhofen, Cléo V. 1996. Hunsrückisch in Rio Grande do Sul: Ein Beitrag zur Beschreibung einer deutschbrasilianischen Dialektvarietät im Kontakt mit dem Portugiesischen. Stuttgart: Steiner.
- Altenhofen, Cléo V. 2016. Die Sprachkarte als "Lupe" zur Erkennung von Sprachwandel und Variation: Pluridimensionale Makroanalysen am Beispiel des Hunsrückischen in Südamerika. Vortrag im Kolloquium Mehrsprachigkeit und Minderheitensprachen, Frankfurt (Oder): EUV (01/2016).
- Bakker, Peter / Matras, Yaron. 2013. Introduction. In: Peter Bakker / Yaron Matras (eds.), Contact Languages. A Comprehensive Guide. Boston/Berlin: De Gruyter, 1-14.

28 შდრ. Boon 2014 და ამ სტატიის შესავალი.

- Boon, Erin Diane. 2014. Heritage Welsh: a study of heritage language as the outcome of minority language acquisition and bilingualism. Doctoral dissertation, Harvard University <http://nrs.harvard.edu/urn-3:HULInstRepos:12269827>
- Eloeva, Fatima. 1998. Les Grecs turcophones de Géorgie. Territoires et tradition orale à Tsalka et Tetrtskaro. In: Bruneau, Michel (ed.). Les Grecs Pontiques. Diaspora, Identité, Territoires. Paris, CNRS: 137–141.
- Ferguson, Charles. 1959. Diglossia. In: Word 15, 325–340.
- Gaio, Mario Luis Monachesi. Forthcoming. Transculturalidade: etnicidade em movimento no contato linguístico-cultural de línguas de imigração. Italianos no eixo Rio de Janeiro-Juiz de Fora, Niterói/Frankfurt (Oder): Dissertation UFF/EUV.
- Gaio, Mario Luis Monachesi / Jungbluth, Konstanze. 2015. Etnicidade em movimento. Processos linguísticos e culturais da imigração italiana no Brasil no eixo Rio de Janeiro-Juiz de Fora. Vortrag auf dem 11. Deutscher Lusitanistentag, Aachen (09/2015).
- Gippert, Jost. 2004. Schriftgebrauch zwischen Kontinuität und Wandel. Zur Wechselwirkung zwischen Sprachgeschichte und Schriftlichkeit. In: Die Sprache 44/2 (Wien: Wiener Sprachgesellschaft 2004 [2005]), 173-194 & 261-269.
- Gottlieb, Nanette. 2008. Japan. Language planning and policy in transition. In: Robert B. Kaplan/Richard B. Baldauf (eds.). Language planning and policy in Asia. Vol. 1: Japan, Nepal and Taiwan and Chinese Characters. Bristol; Multilingual matters, 102-169.
- Hamester Johann / Maselko, Mateusz / Solange Maria / Dewes, Mabel. 2014. Hunsrik lerne 'Hunsrückisch lernen'. Dialektunterricht in der deutschen Sprachinsel Südbraziens. In: The Journal of Languages for Specific Purposes 1, 95–106. <http://jls.steconomics.ro/archives/001/jls-p-1-9>.
- Höfler, Concha Maria. 2016. Group belonging beyond language boundaries: Language, religion and identity in the multilingual Greek community of Georgia. In: STUF 69-2.
- Höfler, Concha Maria. 2011. Georgische Griechen – griechische Georgier? Zur Identität der Urum-Kommunikationsgemeinschaft Georgiens. Frankfurt (Oder): EUV. MA-thesis, unveröffentlicht.
- Höfler, Concha Maria / Stefanie Böhm / Konstanze Jungbluth / Stavros Skopeteas. 2016. Urum and Pontic Greeks: Communities and Language Situations. In: STUF 69-2, 1-4.
- Jungbluth, Konstanze. forthcoming. Comparando o uso das línguas pelos falantes de minorias linguísticas: o caso dos descendentes alemães em Brasil e o caso dos gregos em Georgia. In: Cuadernos da linguagem Nº 53. Mônica Savedra / Telma Pereira (eds.). Línguas e culturas em contato. Niterói: UFF.
- Jungbluth, Konstanze / Rosenberg, Peter. 2014. Ethnicity in Motion: DAAD Projektantrag im Rahmen von ProBral II Doppelpromotionsprogramm (08/2014).
- Jungbluth, Konstanze / Meierkord, Christiane. 2007. Identities in migration contexts. Tübingen: Narr.
- Kartvelishvili, Ekaterine. forthcoming. Identity Construction in Oral Narratives of the Georgian Greek Immigrant Community in Greece, Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU) / Classical, Byzantine and Modern Greek: PhD.
- Kock Kobaidze, Manana. 1999. Minority identity and identity maintenance in Georgia. In: Working Papers 47. Lund University: Dept. of Linguistics, 149–168.
- Laudien, Sarah. 2010. Halb das Blut ist Deutsch und nacionalidade é brasileiro, então sind wir so durchgeschnitten ne, aber coração chora pros dois. Eine empirische Studie zum Code Switching in einer deutschen Sprachinsel Braziens. Frankfurt (Oder): EUV. MA-thesis, unveröffentlicht.
- Loladze, Nika. 2016. Greeks of Georgia: Main factors and motivations of emigration, In: STUF 69-2.
- Maselko, Mateusz. 2013. Hunsrik xraywe: A new way in Lexicography of the German Language Island in Southern Brazil. In: Dialectologia, Special Issue Nr. IV, 147–180. <http://www.publicacions.ub.edu/revistes/dialectologiaSP2013/> [8. Dez. 2013].
- Maselko, Mateusz. 2015. Metodologi(sch)e (Probleme) bei der Erhebung von Ausdrucksvarianten des

Konzepts der Progressivität in einem Sprachinselnkontext (Rio-grandenser Hunsrückisch in Südbrasilien). Vortrag auf der 7. Sprachwissenschaftlichen Tagung für Promotionsstudierende. Eberhard Karls Universität Tübingen: Philosophische Fakultät (10/2015).

Maselko, Mateusz / Hamester Johann, Solange Maria / Dewes, Mabel. 2014, Hunsrik lerne 'Hunsrückisch lernen'. Dialektunterricht in der deutschen Sprachinsel Südbrasilien. In: *The Journal of Languages for Specific Purposes* 1, 95–106.

Morello, Rosângela. 2012, Uma política pública e participativa para as línguas brasileiras: sobre a regulamentação e a implementação do Inventário Nacional da Diversidade Linguística (INDL), In: *Gragoatá* 32, 31–42.

National Statistical Office of Georgia 2011 <http://www.geostat.ge/cms/files/NSDS%20Geo%20Eng.pdf> [20042016]

National Statistical Office of Georgia 2014 [published 05/2016] <http://census.ge/en/results/census> [03062016]

Otheguy, Ricardo. 2016. The linguistic competence of second-generation bilinguals. A critique of "incomplete acquisition". In: Christina Tortora, Marcel den Dikken, Ignacio L. Montoya and Teresa O'Neill (eds.). *Romance Linguistics 2013: Selected papers from the 43rd Linguistic Symposium on Romance Languages (LSRL)*. New York, 17–19 April, 2013; In: *Romance Languages and Linguistic Theory* 9, 301–319.

Pavlenko, Aneta. 2008. Russian in post-Soviet countries. In: *Russian Linguistics* 32, 59–80.

Pavlenko, Aneta. 2011. Linguistic russification in the Russian Empire: peasants into Russians? *Russian Linguistics* 35, 331–350. http://astro.temple.edu/~apavlenk/pdf/Russian_Linguistics_2011_Pavlenko.pdf

Poplack, Shana. 1980. Sometimes I'll start a sentence in Spanish y termino en español: toward a typology of code-switching. In: *Linguistics* 18, 581–618.

Ries, Veronika / Skopeteas, Stavros / Turan, Emrah / Nahrman, Kristin. 2014. Discovering the prehistory of multilingual situations in the lexicon. An empirical study on the Caucasian Urum vocabulary. In: *Linguistik Online*. 64(2), 7–28.

Rosenberg, Peter. 2003. Comparative speech island research: Some results from studies in Russia and Brazil. In: Keel, William & Klaus J. Mattheier (edd.). *Deutsche Sprachinseln weltweit: Interne und externe Perspektiven. German Language Varieties Worldwide: Internal and External Perspectives*. Bern/Frankfurt am Main: Peter Lang, pp. 199–238.

Rosenberg, Peter. 2015. Anything goes? The gains and losses of the constructivist view on ethnicity: Some considerations based on German 'language islands' studies. In: Rosenberg, Peter, Jungbluth, Konstanze, Zinkhahn Rhobodes, Dagna (edd.). *Linguistic Construction of Ethnic Borders*. Bern/Frankfurt am Main: Lang, pp. 149–166.

Savedra, Mônica Maria G. / Höhmann, Beate. 2013. Das plurizentrische Deutsch in Brasilien und die regionale Kooffizialisierung eines ostniederdeutschen Dialekts. In: Schneider-Wiejowski, Karina / Kellermeier-Rehbein, Birte / Haselhuber, Jakob (eds.). *Vielfalt, Variation und Stellung der deutschen Sprache*. Berlin: De Gruyter, 411–426.

Schneider, Edgar. 2003. The Dynamics of New Englishes. From Identity Construction to Dialect Birth. In: *Language* 79, 233–281.

Sitaridou, Ioanna. 2016. Reframing the phylogeny of Asia Minor Greek: The view from Pontic Greek. In: *CHS Research Bulletin, Center for Hellenic Studies, Harvard: Harvard University, Volume 4-1*, 1–17.

Skopeteas, Stavros. In press. The Caucasian Urums and the Urum language/Kafkasya Urumları ve Urum Dili. In: Süer Eker / Ülkü Çelik (eds.). *Handbook of Endangered Turkic Languages*.

Skopeteas, Stavros. 2016. Urum: <http://urum.lili.uni-bielefeld.de/> [31052016]

Tacke, Felix. 2015. *Sprache und Raum in der Romania*. Beihefte der Zeitschrift für Romanische Philologie 395. Berlin/Boston: De Gruyter.

Tracy, Rosemarie / Lattey, Elsa. 2010. It wasn't easy but irgendwie äh da hat sich 's rentiert, net? A linguistic profile. In: Albl-Mikasa, Michaela / Braun, Sabine / Kalina, Sylvia (eds.). *Dimensionen der Zweitsprachenforschung*. Tübingen: Narr, 53–73.

Vogelsang, Sara. 2016. *Die Sprachpolitik Japans und Singapurs im Vergleich: Mono vs. Multi?* Frankfurt (Oder): Europa-Universität Viadrina: MA-Arbeit, unveröffentlicht.

Zinkhahn Rhobodes, Dagna. 2012. Sprachwechsel bei Sprachminderheiten: Motive und Bedingungen. Eine soziolinguistische Studie zur deutschen Sprachinselminderheit in Blumenau, Brasilien. Stuttgart: Ibidem.

Zoumpalidis, Dionysios. 2016. We and they: Inter- and intra-communal ethno-linguistic borders within the Pontic Greek community in Cyprus. In: STUF 69-2.

Zoumpalidis, Dionysios. 2013. Russian language – Greek identity: A sociolinguistic approach to the Pontic Greek community in Russia. In: Sarah Smyth / Conny Opitz (eds.). Negotiating linguistic, cultural and social identities in the post-Soviet world. Bern/Berlin: Peter Lang, 227–245.

Констанце Иунгблут

sprechen – sprach – gesprochen:

Немцы, живущие в Бразилии и Греки поселившиеся в Грузии

Резюме

Миграция сопровождает всё развитие человечества. В работе проводится сравнение употребления языка двумя группами, имеющими миграционный опыт на протяжении нескольких поколений. Одну группу составляют немцы, живущие в Бразилии, к другой-же группе принадлежат греки, давно поселившиеся в Грузии. Политические, экономические, медиальные и культурные изменения, произошедшие в последнее время, сильно влияют на передачу, сохранение, освоение и утрату языков, на котором говорят потомки мигрантов. Вдоль трёх грамматических форм "говорения" (sprechen – sprach - gesprochen) работа информирует читателя об языковых изменениях, характерных для трех поколений: дедушек и бабушек, родителей, а также детей, являющихся сегодня молодыми людьми.

Ключевые слова:

Меньшинства, миграция, употребление языка, языковые варианты, освоение языка, наследственный язык, билингвальность, мультилингвальность, языковая политика, язык преподавания, автохтонность, аллохтонность.

Бразилианский португальский, греческий, немецкий, русский, хунсрюкский, поммеранский, понтийский.

Konstance Iungblut

sprechen – sprach – gesprochen: German living in Brazil and Greek settlements in Georgia

Abstract

Migration is a deeply rooted phenomenon of mankind. My contribution compares the language use of two groups who share a migration experience of several generations, one of them German living in Brazil the other one Greek settling in Georgia. The political, economic, medial and cultural changes of recent times show a strong impact on the maintenance, acquisition and loss of languages used by their descendants. Along the three grammatical forms of speaking – speak/spoke/spoken – the reader will get informed about the language change characteristic for the grandparents, the parents and their children, young adults today.

Keywords: minorities, migration, language use, language varieties, language acquisition, L1, L2, heritage language, bilingual, multilingual, language politics, school language, autochthon, allochthon, Brazilian Portuguese, Greek, Hunsrückisch, Pomerano, Pontic Greek, Russian, Urum.